



**THE WORLD BANK**

**Working for a World  
Free of Poverty**



## პრესრელიზი

### პრეზენტაცია მსოფლიო ბანკის ოფისში: ბატონის ციხის კონსერვაციის გეგმა და სამომავლო სარეაბილიტაციო სამუშაოების დაგეგმვა

თბილისი, 2013 წლის 23 დეკემბერი. მსოფლიო ბანკის ოფისში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის თელავის ბატონის ციხის კომპლექსზე მიმდინარე კვლევითი და არქიტექტურული სარეაბილიტაციო სამუშაოების განხილვა გაიმართა. აღნიშნული კომპლექსი მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულ, სხვადასხვა პერიოდისა და ფუნქციის ნაგებობებს. მათ შორის, XVII-XVIII საუკუნეების გალავანს, XVII-XVIII საუკუნეების კარის მცირე ეკლესიას, XVII-XVIII საუკუნეების სობოროს, XVII-XVIII საუკუნეების საზარბაზნე კოშკს, XIX საუკუნის შუა წლების „სახაზინო სახლს“. თელავის ბატონის ციხის კომპლექსის რეაბილიტაცია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კანონის დაცვით და მასში გათვალისწინებული ყველა წესის თანახმად ხორციელდება.

განხილვებში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, მუნიციპალური განვითარების ფონდის, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენლებმა. ასევე, თელავის ბატონის ციხის კომპლექსის კონსერვაციის გეგმაზე მომუშავე ჯგუფის წევრებმა და ექსპერტებმა. მათ შორის იყვნენ კომპლექსის ისტორიულ და ახალ ნაწილზე მომუშავე ხელოვნებათმცოდნეები, არქიტექტორები და რესტავრატორები.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით, თელავის ბატონის ციხის კომპლექსის კონსერვაციის გეგმის შექმნაზე ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა იმუშავა. პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდმა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული რეგიონური განვითარების პროექტის ფარგლებში დააფინანსა (აღნიშნული პროექტი კახეთის რეგიონში ხორციელდება).

შეხვედრის დროს იქნა წარმოდგენილი შემდეგი მასალები: სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, გრაფიკული და ფოტო-ფიქსაცია, არქეოლოგიური და საინჟინრო დასკვნები, ძეგლის კონსერვაციისა და სოციოლოგიური კვლევის მასალები, ინტერდისციპლინარული კვლევის ანალიზი და ძეგლის სარეაბილიტაციო სახელმძღვანელო პრინციპები. ყოველივე ეს

კომპლექსის მართვის გეგმას წარმოადგენს და იგი საფუძვლად დაედება მისი, როგორც ისტორიული ნაწილის რეზილიტაციას. ასევე, კახეთის ისტორიის მუზეუმის ახალი შენობის მშენებლობის განახლებულ კონცეფციას.

*„ეს იყო უმნიშვნელოვანესი შეხვედრა იმ თვალსაზრისით, რომ იგი ისეთ მნიშვნელოვან და პრობლემურ ძეგლს ეხებოდა, როგორც გახლავთ თელავში მდებარე ბატონის ციხის კომპლექსი. ამ ძეგლზე კონსერვაციის გეგმის შემუშავება დასრულდა, რაც უმნიშვნელოვანესი ეტაპია მისი შესწავლისა და რესტავრაციის პროცესში, და ასევე უმნიშვნელოვანესი საფეხურია შემდგომი სწორი რეზილიტაციისათვის. ანუ, იმ პროცესების გამოსასწორებლად, რომლებმაც სავარაუდოდ ძალიან დიდი ზიანი მიაყენა ამ უმნიშვნელოვანეს ძეგლს,“ **განაცხადა საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილემ მარინე მიზანდარმა.** აღნიშნული შეხვედრის მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ კონსერვაციის გეგმაზე მუშაობის შედეგების შეჯერების წყალობით გამოიკვეთა თუ რა გზას ავირჩევთ სამომავლოდ. თუ როგორ შეიძლება მოხდეს ახალი მშენებლობის ადაპტირება არსებულ ძეგლთან მიმართებაში, და თუ როგორ შეიძლება კარგად გააზრებული და გაცნობიერებული იქნას ძეგლი თავისი ყველა კომპონენტით. ასეთი ხედვა აკლდა ამ კომპლექსს, თუ არ ჩავთვლით 1970-იან წლებს, როდესაც ბატონის ციხე კულტურული მემკვიდრეობის ერთიან ძეგლად გამოცხადდა. მას შემდეგ მიდგომა მხოლოდ ფრაგმენტული იყო. მე ვიტყვოდი, რომ ეს არის საერთოდ უპრეცედენტო შემთხვევა ბოლო წლების განმავლობაში, როდესაც, მართალია, უკვე დაწყებული სამუშაოები სწორად არ მიმდინარეობდა, მაგრამ გამოსწორების გზად იქნა მიჩნეული სწორი მეთოდოლოგიური მიდგომა, ანუ კონსერვაციის გეგმის შემუშავება, რაც გულისხმობს მხოლოდ კომპლექსურ, მხოლოდ ინტეგრირებულ მიდგომას. მხოლოდ ამის საფუძველზე იქნება შესაძლებელი შემდგომ კომპლექსის თითოეული ძეგლისთვის თავისი ფუნქციის, თავისი როლის განსაზღვრა. ასევე, მისი განვითარების შესაძლებლობის განსაზღვრა, და მხოლოდ ერთიან ანსამბლურ კონტექსტში,“ **დასძინა მან.***

ქალბატონმა მარინე მიზანდარმა, აგრეთვე, ხაზი გაუსვა მსოფლიო ბანკის ინიციატივის მნიშვნელობას, რათა შემდგარიყო ეს შეხვედრა. მისი აზრით, ეს იქნება პრეცედენტი, რომელზეც დაეფუძნება შემდგომი მუშაობა სხვა ისტორიულ ძეგლებზე.

*„ბატონის ციხე კახეთის რეგიონის ერთ-ერთი უძვირფასესი მარგალიტია. საქართველოს მთავრობასთან და კონსერვაციაზე მომუშავე ექსპერტებთან ერთად გაჩეულ ძალისხმევას, რომელიც ისტორიული ნაწილების სწორად აღდგენისკენ და კახეთის ისტორიის ახალი მუზეუმის აშენებისკენ არის მიმართული, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კახეთის რეგიონული განვითარების პროექტის ზოგადი წარმატებისთვის. აღნიშნული კომპლექსი თელაველებისთვის საამაყოა, და მათი შეხედულებების გასაცნობად ჩვენ უახლოეს მომავალში მათთან საკონსულტაციო შეხვედრებს მოვაწყობთ,“ **განაცხადა მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის ოფისის მდგრადი განვითარების სექტორის ხელმძღვანელმა აჰმედ ეივიდამ.***

ეს ინიციატივა კულტურის სამინისტროს, მსოფლიო ბანკის, ინფრასტრუქტურის სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს და მუნიციპალური განვითარების ფონდის ერთიანი ძალისხმევით, რომელიც მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება.

მსოფლიო ბანკის საქართველოს ოფისის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის  
გთხოვთ ეწვიოთ: <http://www.worldbank.org/ge>

გვეწვიეთ Facebook-ზე: <https://www.facebook.com/WorldBankEuropeCentralAsia>

**საკონტაქტო პირი:**

**მსოფლიო ბანკი:** ინგა პაიჭაძე

ტელ: (99532) 291 30 96 – [ipaichadze@worldbank.org](mailto:ipaichadze@worldbank.org)